საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №280
2017 წლის 18 აგვისტო

ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005 წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი №1) მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ.ჰ.ჰ.ჰ.ჩ“ და „ჰ.ჰ.ჰ.ჰ.ც“ ქვეპუნქტები:

„ჰ.ჰ.ჰ.ჰ.ჩ) შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანის“ ერთჯერადი სამგზავრო ბილეთი;

ჰ.ჰ.ჰ.ჰ.ც) შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანის“ უფასოდ მგზავრობის ბილეთი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**